საქ. სსრ კ. მარქსი-სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 240 (20281) — სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

ვიზიტად სსრ კავშირში

18 ოქტომბერს მოსკოვში იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჩ. დე მიტას სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა გამოფენა „იტალია-2000“-ის საზღვარი გახსნა. გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროს დარგში ქვეყნის მიღწევები.

ცერემონიაში მონაწილეობდნენ ჩ. დე მიტა მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ.

გამოფენის გახსნაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ა. პ. ბირიუკოვი, ი. დ. მაწალიკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

იტალიის მხრივ — იტალიის მთავრობის მეთაურის თანმხლები ოფიციალური პირნი.

ცერემონიაზე გამოვიდნენ ჩ. დე მიტა და ნ. ი. რიჟკოვი.

ექსპოზიციის დათვალიერების დროს მ. ს. გორბაჩოვი სტენდთან ესაუბრა იტალიის მთელი რიგი firmebs ხელმძღვანელებს.

• • •

ნაშუადღეს იტალიის მთავრობის მეთაური გამოვიდა პრესკონფერენციაზე საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების წინაშე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

საღამოს ჩ. დე მიტა და მისი მეუღლე დაესწრნენ „ლა სკალას“ თეატრის სოლისტთა კონცერტს სსრ კავშირის დიდ თეატრში.

მათთან ერთად ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ მ. ს. გორბაჩოვი მეუღლითურთ და სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

16 ოქტომბერს იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩ. დე მიტა მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა.

გაფრენის წინ კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა იტალიელი სტუმრის გაცილების ცერემონია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე გულთბილად დაემშვიდობნენ ჩ. დე მიტასა და მის მეუღლეს.

კრემლიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით გაემართა აეროპორტში. მთელ გზაზე დედაქალაქის ქუჩებში. და მოედნებზე გამოფენილი იყო იტალიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშები.

• • •

აეროდრომზე ჩ. დე მიტა და მისი მეუღლე გაეცალნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• • •

იმავე დღეს ჩ. დე მიტა და მისი მეუღლე ლენინგრადში ჩამოვიდნენ.

საღამოს იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მეუღლე სსრ კავშირიდან გაემგზავრნენ.

(საკდესი).

ექიმთა საკავშირო ყრილობის

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება ექიმთა საკავშირო ყრილობის დელეგატებს.

სკკპ XXVII ყრილობამ ყველა ჩვენი ხალხისა და ჩანაფიქრის ცენტრში დააყენა ადამიანი, მისი საჭიროებანი და მისწრაფებანი. ხალხის ჯანმრთელობის დაცვა პარტიას მიაჩნია პოლიტიკურ ამოცანად — ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

დღეს კრემლში შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულები, ამათი სიუჟეტური წარმომადგენლები, ვისაც მინდობილი აქვს სახეობათა ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. პარტია დიდად აფასებს მედიცინის მუშაკთა ანთუზიაზმიერ შრომას, განუზომლად პასუხსაგები და აქტიურია ექიმის როლი ჩვენს საზოგადოებაში.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა დიდი ოქტომბრის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, სახელმწიფო დახმარების სახელმწიფო ფორმების ხელმისაწვდომობა—უფასოობა, პროფილაქტიკური მიმართულება, მეცნიერებასთან ორგანული კავშირი, დემოკრატიზმი — დღეს ეს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ყველაზე პროგრესული პრინციპებია.

მოგეხსენებით რა ამ საზეიმო დღეს, ცენტრალური კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნის ნაკლოვანებებიც ჯანმრთელობის დაცვის საქმიანობაში. სამედიცინო დახმარების დონე და ხარისხი სრულად არ შეეხებამება საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებებს. სუსტად ხორცდებიან პრაქტიკულად კოლეტივების მუშაობის მოწინავე გამოცდილება, დაავადებათა თავიდან აცილებისა და გამოვლენის, მათი მკურნალობის ახალი ეფექტიანი მეთოდები. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ხაქმის ვითარება დედიხა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვაზე, კვლავ მწვავეა სოფლად ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები. ხახალხო მეურნეობას დიდი ვნება ადგება იმის გამო, რომ შრომის უნარის კარგავენ მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები დაავადებებისა და ტრავმების, აგრეთვე ავადმყოფ ბავშვთა მოვლის შედეგად. შეიმჩნევა მედიცინის წაყენან პრობლემებზე სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის თანამედროვე დონისაგან მნიშვნელოვანი ჩამორჩენა.

ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების გარდაქმნა მოითხოვს კარდინალურ ცვლილებებს კადრების მომზადებაში, მინდობილი ხაქმიანობა ხათვის მათი პასუხისმგებლობა. ... რგავდეთ ექიმებს ხალხისა და ქვეყნის წინაშე მოვალეობის გრძნობას, მისწრაფებას პროფესიული კომპეტენტურობისადმი, მაღალ ზნეობასა და გულმოწყალებას — ეს ძირითადი ამოცანა, რომელსაც ცხოვრება აყენებს.

ხახალხო მეურნეობის განვითარება მოითხოვს მისი სოციალურ-პიგიენური ორიენტაციის გაძლიერებას, მზრუნველ დამოკიდებულებას გარემოსა და ადამიანისადმი. აქ განსაკუთრებული ადგილი უკავია ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩამოყალიბებას, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ოპტიმალური პირობების შექმნას.

ჯანმრთელობის დაცვის ხრულყოფის შემოქმედებული გრძელვადიანი ხახელმწიფო პროგრამა, მისი რეალიზაციის კონკრეტული გადაწყვეტილებანი მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დარგის დაწესებულების, თითოეული ხამედიცინო კოლეტივის ყოველდღიურ მუყაო მუშაობას. აქ წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული ამაზე, თუ რამდენად შეძლებენ პარტიული კომიტეტები, ხახალხო დეპუტატთა ხაბჭოები გაერთიანონ პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, მრეწველობის, მთელი სოციალური სფერის, ხაზოგადოებრივი ორგანიზაციების მეცადინეობა პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

ხამედიცინო ხაზოგადოებრიობა ხულ უფრო საგრძნობ გაკეთებას ახდენს ხაერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებაზე. მუშანამოტურ, ნამდვილად ადამიანურ ხაფუძველზე ხალხთა ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებაზე. ომისაწინააღმდეგო გამოხვლებში აქტიურად მონაწილეობს „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი მხოფლიოს ექიმების“ მოძრაობა. ცხოვრება დღესაც დასტურებთ მოითხოვს არ შეეკვლოთ პროგრესული ძალების მეცადინეობა მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ყველა თქვენგანს აერთიანებს შესანიშნავი და კეთილშობილური პროფესია, ის, რომ ეკუთვნით ექიმთა — იმ ადამიანთა ხახელოვან წოდებას, რომლებიც ზუდამ ზნად არიან დაეხმარონ ადამიანს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ხაბჭოთის მედიცინის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გაზრდიან ჯანმრთელობის დაცვის წესლის სოციალისტური ხაზოგადოების განვითარებაში. წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენს ძნელ, მაგრამ ჩვენი ხალხისათვის ესოდენ ხაჭირო შრომაში.

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

თითოეულის ჯანმრთელობა საზოგადოების კუთვნილებაა

ადამიანის ჯანმრთელობა, მისი შემოქმედებითი აქტიურობა ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმდიდრეა და მის უნდა უფრთხილდებოდნენ და ამრავლებდნენ საბჭოთა მედიკოსები. ახლა, როცა მიმდინარეობს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა, რომლის მიზანია მისი ზნეობრივი ამაღლება, ეკონომიკისა და პოლიტიკის გაუმჯობესება, საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები განსაკუთრებული ყურადღების ზონაშია.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვას ბევრი მიღწევა აქვს. მაგალითად, პირველად კაცობრიობის ისტორიაში სსრ კავშირში შეიქმნა და მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი სახელმწიფო ინფრასტრუქტურა, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს საყოველთაო უფასო სამედიცინო დახმარებას. მოკლე ვადებში გადაწყდა ისეთი რიული პრობლემა, როგორიცაა ყვავილუს, შავი ჭირის, ქოლერის, შებრუნებითი ტიფის ლიკვიდაცია, მკვეთრად შემცირდა სხვა ინფექციური სნეხი დაავადებანი.

ამავე დროს უდავოა ბევრი ნეგატიური მოვლენაც — მკვეთრად ჩამორჩა მოთხოვნილებებს ჯანმრთელობის დაცვის მატერიალური ბაზის განვითარება, მედიკოსთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა პროფესიონალიზმი და ყველაზე ჰუმანური პროფესიის ზნეობრივი კოტიტიუმები და როგორც შედეგი, თავი იჩინა ექიმისადმი ნდობის კრიზისმა.

ღრმად, დღევანდელობის პოზიციებიდან უნდა გააანალიზონ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებისა და ნაკლოვანებების მიზეზები, განიხილონ მისი მართვის გარდაქმნის ღონისძიებანი, ახალი მიდგომა მისი დაგეგმვისა და დაფინანსებისადმი, პროფილაქტიკის ეფექტიანობის, სამედიცინო დახმარების დონისა და ხარისხის ამაღლების, სამკურნალო საქმიანობისათვის პროფესიული მოზიდების პრობლემები ექიმთა საკადრო ყრილობის დელეგატებმა, რომელიც 17 ოქტომბერს გაიხსნა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ნ. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, ა. პ. ბირიუკოვს, ა. ვ. ვლასოვს, ა. ი. ლუკიანოვს, ი. დ. მასლიუკოვს, ვ. ა. რაზუმოვსკის, ი. დ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ო. დ. ბაკლანოვს.**

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აქვე არიან ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი პროსი ნაკაძიმა, „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის „მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობის თანათავმჯდომარე ბერნარდ ლაენი, ხაზოგარგოთის ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინა-მედიკოსთა დელეგაციები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის **ე. ი. ჩაზოვმა.**

შეკრებილთა ოხლოლით მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტს ექიმთა საკადრო ყრილობის დელეგატებისადმი გულითადი მისალმებისათვის.

ჩვენი მეშაობის მნიშვნელობის აღიარება, თქვა მხარმჭეველმა, განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის ახლა — საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის წლებში, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალების ადგილის ძნელ პერიოდში, როცა მიმდინარეობს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისადმი ნდობის, ექიმისადმი ნდობის აღდგენის ინტენსიური პროცესი. ჩვენ გვესმის, რომ ამ აღიარების, ჩვენთვის, მედიკოსებისათვის ზრუნვის პასუხად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ ჩვენი საქმიანობის დასახვეწად, იმ რთული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.

ორატორი შეეხო ვითარებას, რომელშიც სამოცდასამი წლის წინათ შეიკრიბა ექიმთა პირველი საკავშირო ყრილობა. დელეგატებს დარბაზის შესასვლელთან ხვდებოდათ დიდი ტრანსპარანტი: „ჩვენ დავიწყეთ დიდი ომი, რომელსაც მალე ვერ დავამთავრებთ, განსაკუთრებული, ნაღვლიანი, მაძღარი, ჯანსაღი რუსეთისათვის ომი“. სამპირო იყო ბრძოლა ნათელი და, უწმინარს ყოველსა, ჯანსაღი ქვეყნისათვის. მაგრამ ეს როგორ უნდა გაკეთებულიყო, თუ ყოველი მეათასე დაბადებული ერთ წლამდეც ვერ აღწევდა, იღუპებოდა დაახლოებით 200 ბავშვი, თუ ქვეყანაში ყველითი იყო დაავადებული ფილარიებით 20 ათასი კაცი, თუ დაახლოებით 200 ათასი ავად იყო ბუგლის ტიფით, ხოლო 70 ათასზე მეტი — პარტახტიანი ტიფით. და ხალხს ჯანმრთელობისათვის ბრძოლა საჭირო იყო პირობებში, როცა 10 ათას მეცხოველეზე იყო მხოლოდ ორი ექიმი. ყრილობის ტრიბუნიდან გამოთქმული ექიმთა შეშფოთება ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაიზიარეს პარტიამ და ხახელმწიფომ. საყოველთაო უფასო სამედიცინო დახმარება და ყველა არის საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოანაკოვარი. პარტიას ესმოდა, რომ ხალხს სჭირდებოდა არა ლოზუნგები, არამედ საქმეები. და მართლაც, ნების პირობებში მიღწეულმა ეკონომიკის სტაბილიზაციამ, შიმშილის დამარცხებამ ახალგაზრდა საბჭოთა ხახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა უკვე 1925-26 წლებში სამჯერ გაეზარდა ასიგნებანი ჯანმრთელობის დაცვისათვის.

მოკლედ დაახასიათა რა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ეტაპები, მომხსენებელი შეეხო მისი განვითარების ნეგატიურ მოვლენებს. მრავალი წელია ჯანმრთელობის დაცვას ხმარდებოდა მხოლოდ ის სახსრები, რომლებიც ხაზოგადოების სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილების შემდეგ რჩებოდა. ასიგნებათა ყოველწლიური ზრდა ძლივს უზრუველყოფდა მოსახლეობის მატებასთან დაკავშირებულ ხარჯების დაფარვას, რაც აბრკოლებდა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვას, მედიცინის მეცნიერების განვითარებას. ამის დაეპატა დიდი სამაგალო ომის წლებში ჯანმრთელობის დაცვისათვის მიყენებული ზიანი, ორმოციანი და ორმოცდათიანი წლების რეპრესიების შედეგები, მეცნიერებაში ჰეშმარიტების მონოპოლური უფლების შემოღება, მედიცინის მეცნიერებაზე და პრაქტიკაზე მართვის ნებით და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების გავრცელება, ზნეობრივი პრინციპების დაკნინება და სხვა უბედურებანი, რომლებიც ზოგიერთ და ახლო წარსულს ახასიათებდა.

ამის შედეგად ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ტემპი სულ უფრო ნელდებოდა, უზრუველყოფილი არ იყო სამედიცინო დახმარების ხარისხი და ეფექტიანობა, მტაცეცდ დამკვიდრდა მართვისა და მეურნეობრიობის კონსერვატიული მეთოდები, შენარჩუნებული იყო დაფინანსების ნარჩენობით პრინციპი. წარმატებების ხოტბისა და ნაკლოვანებების მიჩქმალვის ფონზე თავს იჩენდა მედიცინისა და ექმთისადმი ნდობის კრიზისი. მთელი რიგი დადგენილებების მიღებას, რომლებიც შექმნილი სიტუაციის გამოსწორებას ისახავდა მიზნად, არ მოუხდენია

ბიბლიოთეკა

(დასასრული მე-4 გვ.).

ე. სარნეი მოსკოვს ჩამოვიდა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეითი 17 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟოზე სარნეი.

ვნუკოვის აეროდრომზე ჟ. სარნეის მეუღლითურთ დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. লუკიანოვი მეუღლითურთ, სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა ბრაზილიელი სტუმრის შეხვედრის ცერემონია.

ჟ. სარნეის და მის მეუღლეს გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე.

შეხვედრის ცერემონიის შემდეგ მ. ს. გორბაჩოვსა და ჟ. სარნეის შორის გაიმართა ხანმოკლე საუბარი.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა მეუღლითურთ და ჟ. სარნეიმ მეუღლითურთ ბანქეტზე ესადილეს კრემლის ტერიტორიაზე.

(საკდესი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ირლანდიის დელეგაცია საქართველოში

14 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა გამოფენა „იტალია-2000“-ის საზღვარი გახსნა. გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროს დარგში ქვეყნის მიღწევები.

ცერემონიაში მონაწილეობდნენ ჩ. დე მიტა მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

ეს ბოლო ინფორმაცია ირლანდიელ ჟურნალისტებს ბრიუსელში, ევროპის ეკონომიკური ერთიანობის ქვეყნების ოფიციალურ ინფორმაციულ ცენტრში, ბრიუსელში ირლანდიელ ელჩ ჯ. ბოლანდთან ინტერვიუს დროს ეცნობა ირლანდიელ ჟურნალისტ ბ. ბოლანდს.

ირლანდიელ ელჩ ჯ. ბოლანდის ინფორმაციით, ირლანდიის ეროვნული ეკონომიკური ინსტიტუტის ანალიზი ადასტურებს, ირლანდიის ეროვნული ეკონომიკა ... ...

თითოეულის ჯანმრთელობა საზოგადოების კუთვნილებაა

(დასასრული)

დობის ჰიგიენური აღზრდის ეფექტიანობის განადიდებად დაგეგმილია პროფკავშირებთან, ჯანმრთელობის დაცვასა და გულმოწყალების ფონდთან, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევრად მთვარის საზოგადოებათა კავშირთან ერთად სანეტარიული განათლების საზღვრების ნაცვლად შეიქმნას ჯანმრთელობის ცენტრები, რომლებიც ეკრენთან სამკურნალო ფიზკულტურის, სპორტული ეკიპების დარბაზები, ლეკრორიუმები ახალგაზრდობისთვის, დიეტოლოგთა კონსულტაციები. პროფილაქტიკური მიმართულების გაძლიერება გავლენას მოახდენს ჯანმრთელობის დაცვის პირველად რგოლის ყოველდღიურ მუშაობაზე — უბნის ექიმებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ჯანმრთელებს.

უახლოეს 5-6 წელიწადში დასახულია მკეთრად გაუმჯობესდეს პირველადი სამედიცინო დახმარების დიაგნოსტიკური ბაზა. ამისათვის, თქვა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, უნდა გაანვითაროთ საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური პოლიკლინიკების ქსელი, შეექმნათ დიაგნოსტიკური ცენტრები ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებში, სამხარეთა და საოლქო ცენტრებში. წელს ამოქმედდება 14 ასეთი ცენტრი, 1995 წლამდე კი მათი რიცხვი 150-ს მიაღწევს.

პირველადი სამედიცინო დახმარების ქსელის განვითარების დიდმნიშვნელოვანი რეზერვი შეიძლება გახდეს სამრეწველო საწარმოებსა და საამქრო სამსახურების სამედიცინო-სანიტარიული ნაწილების სისტემა — ახლა დიდი სამრეწველო საწარმოების მხლოდ მეხუთედს აქვს თავისი სამედიცინო-სანიტარიული ნაწილები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ადმინისტრაციამ და შრომითმა კოლექტივებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს მუშამოსამსახურეთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, სამედიცინო მომსახურების მრავალი პრობლემა უფრო წარმატებით წყდება, ვიდრე ტერიტორიულ ქსელში. ეს გასაკვირებელი შეეხება დისპანსერიზაციას — პროფილაქტიკისა და ადრეული დიაგნოსტიკის ეფექტიანობას. ეს ამოცანა ამ უმნიშვნელოვანესი პირობის გაფართოებას. ბოლო უნდა მოეღოს ამ მუშაობისადმი, როგორც ფორმალური აქტისადმი დამოკიდებულებას.

ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სოფლის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რომელიც გრძობს თავის ბრალს სოფლად კადრების მდგომარეობისა და სოფლის ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენისათვის, თქვა მან, შეიწყნარებლად მიიჩნია ისეთი მდგომარეობა, როცა სახადრომრეწვი ვერ ასრულებს ვერც დირექტიული ორგანოების დადგენილებებს, ვერც საკუთარ გადაწყვეტილებებს სოფლად ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შენებლობისა და ამოქმედების შესახებ.

რეალურ პრიორიტეტებს იძენს, ბოლოს და ბოლოს, ედიდი და ბავშვის დაცვა. ამ ქსელის დაწესებულებათა განვითარებისათვის კაპიტალური დაბანდებების 40 პროცენტამდე გამოიყოფა. დღეს პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, თქვა მოხსენებელმა, რომ ჩვენ ბევრჯერ დეკლარაციულად ვიტაფდებოდით, ამ დარგში წარმატებები გვაქვსო, ბევრჯერ გვიმბავსობდნენ ალბათ არ არის მეორე ქვეყანა, სადაც ებრაელებს არა მარტო ეველაზე პრიორიტეტული კლასია". ხოლო როცა ღრმად ჩაფვდით ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაში შექმნილ სიტუაციას, აღმოჩნდა, რომ ჩვენ 5-ჯერ უფრო ხშირად აკარგავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, ვიდრე იაპონიაში, 2,5-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგალიაში, ბელგიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. თერმე ჩვენში ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია სამშობიარო და სანავშვო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მწვავედ დგას თანამედროვე სამკურნალოწამლო საშუალებებითა და სამედიცინო აპარატურით უზრუნველყოფის საკითხები. მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილება წამლებისა და სამედიცინო ტექნიკის წარმოების შესახებ. 1993 წლისათვის ჯანმრთელობის დაცვა მთლიანად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამკურნალოწამლო საშუალებებით, მნიშვნელოვნად გაიზარდოს სამედიცინო ტექნიკის წარმოება.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სამედიცინო კადრების მომზადების პრობლემას. ყველაფერი უნდა ვიღონოთო, რათა გამოვრიცხოთ ომის შესაძლებლობა, რომ პაციენტი შეხვდეს არაკვალიფიციურ, პროფესიული თვალსაზრისისთან ეუდად მომზადებულ მუშაკს, რომელსაც მხოლოდ ექიმის დიპლომი აქვს, უნდე, უპასუხისგებელი ადამიანებს.

უნდა გადაწყდეს ექიმის სოციალური დაცვის ისეთი საკითხები, როგორიც არის მისი უზრუნველყოფა ბინით, სანავშვო დაწესებულებებთან, სანატორიუმ-პროფილაქტიკური მომსახურებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ექიმების უმრავლესობა ქალები და დედები არიან, რომ დაავადებანი და სიკვდილიანობა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქვეყანაში. საკვლევო პროფსაბჭომ და მედიცინის მუშაკთა პროფსაბჭომ მთელი ყურადღება ამ მწვავე საკითხებს უნდა მიაპყრონ და ყველაფერი ღონონ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ყველა ამ ამოცანის შესრულება, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, საშუალებას მოგვცემს თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ ჯანმრთელობის დაცვა სსრ კავშირში, რეალურად განვახორციელოთ სკკპ XXVII კონგრესისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებები.

პრობლემებს, რომლებსაც ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები აწყდებიან მოსახლეობის დისპანსერიზაციის ორგანიზაციაში, მიუძღვნა თავისი გამოსვლა ვინიკის ოლქის კალინოვკის ცენტრალური რაიონული საავადყოფოს ექიმმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ვ. ვ. ვინიკოვმა.**

— ჩვენ ყრილობაზე თან მოვიტანეთ შეშფოთება ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის გამო, ჩვენი ავადყოფების საზრუნავი, მათი ნათესავების წუხილი, — თქვა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა **ა. ნ. კონოვალოვმა.** — ჩვენ დიდ ცვლილებებსა და წარმატებებს ვერ მივაღწევთ, თუ სერიოზულად არ ჩავუფიქრდებით ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკურ საფუძველს.

ბავშვისა და დედის სიკვდილიანობის მაღალი დონის მთავარ მიზეზებს შორის უზბეკეთში ხორეზმის ოლქის ურგენჩის საქალაქო პოლიკლინიკის გაფაფოლეგის ბ. **სალიკოვამ** დასახელა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, არალიპირეთში დაბინძული სანტარიულ-ეპიდემიოლოგიური ვითარება.

უმაღლესი სამედიცინო სკოლის რიგულ პრობლემებზე ლაპარაკა კუიბიშევის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა **ა. თ. კრასნოგოროვმა.**

ყაზახეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **ტ. ა. ბაშენბაეტოვმა** წლებს, რომლებიც წინ უძღოდნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმს, ჯანმრთელობის დაცვაში კრიზისისწინა წლები უწოდა. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მეცადინეობით ნეგატიური პროცესები ჯერჯერობით მხოლოდ შეჩერდა, რადგან ჩვენ ბევრ რამეში საშფუთხარიდ, ვცდილობთ ძველი სისტემა შევუსაბამოთ ახალ მოთხოვნებს.

სსრკოფო დახმარების სამსახურს, რომელიც ელექტრომალური რეკემით მუშაობს, ახლა თვითონ სპრიდეს ასეთი დახმარება, თქვა მოსკოვის სასწრაფო დახმარების სადგურის უფროსმა ექიმმა **ო. ი. ბეხსალოვამ.** სუსტი მატერიალური აღჭურვა, წამლებითა და ინსტრუმენტებით არასაკმარისი უზრუნველყოფა, მოუმარჯვებელი ავტოტრანსპორტი, რომელშიც ფელიცინის მუშაები მრავალ საათს ატარებენ, და „ავშირგაბმულობის სიმღერა „საუბრელებს უქონლობა — ყოველივე ეს გაღონავს ახლენს მოსახლეობისათვის სასწრაფო დახმარების გაწევის ხარისხზე.

თქმა არ უნდა, განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან კიევის გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა **ნ. ნ. ამოსოვმა,** მილიარდები, რომლებზეც მოსხენებაში იყო ლაპარაკი, ჩვენ ხელს არ შეგვაშლის. მაგრამ, მოდით, პატიოსნად გამოვუტყდეთ ჩვენს თავს, რომ ვერავითარი მილიარდები ვერ აანაზღაურებს თითოეული ექიმის კეთილსინდისიერ ზელილ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გარდაქმნაში, ვერ მოსპობს ბუღმოწყლებისა და კეალიფიკაციის დეფიციტს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენი საქმის ტანგოკელი ინარეკლია.

ექიმთა საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

სოციალური სფერო

ჯანმრთელობისა და ზრუნვის ფონდი

ნათქვამია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო, მაგრამ სიძულვილს იმდენი უნგრევია, რომ სიყვარულს დღესაც უჭირს მისი აღდგენა. ჩვენ მაინც უნდა მოვძებნოთ ძალა, არ დავაყლოთ ცდა, რომ დავუბრუნოთ ჩვენსა და მომდევნო თაობებს ის სიკეთე და კაცთმოყვარეობა, რომლითაც ოდითგანვე გამოირჩეოდა ჩვენებური კაცი. ჩვენი ერის საუკეთესო წარმომადგენელს ბევრჯერ უზეკეთია ქველმოქმედების, ეკონი ზრუნვის და მოწყალების მაგალითები. მოწყალება და ეკონი ზრუნვა საქართველოში ოდითგან ყოფილა სახელმწიფო რანგის საქმიანობა, მისი პოლიტიკა.

ყოველივე ეს ეროვნული პატრიოტიზმადან გამომდინარეობს, რომელსაც ყოველივის თან ახლავს ქველმოქმედ ინტერნაციონალიზმი. ისრაელიდან გამოგზავნილი და ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ინიციატივ ეროვნული კარგად გვამცნობს, რომ ქართველი ებრაელები, სხვა ქვეყანაში ფსულნიც, კი, საქართველოს თავის ნამდვილ სამშობლოდ თვლიან და განმარტავენ, რომ „ღედამიწაზე ალბათ არ არის მეორე ქვეყანა, სადაც ებრაელებს არა მარტო ცხოვრება მარტო გამარჯვების და ზეიმებისაგან არ შესდგება, და მაშინაც კი (ალარს ვამბობ ფუჭერ დროებაზე) ყველას არ ეულნის, არ ეცინება, არ ეფერება, არამედ ვიღაცას სცივა, ვიღაცას შია, ვიღაცა სულ ლაფავს, ვიღაცას მარტო დარჩენილს გული ისე შესწუხება, რომ საკვდილ ნატრობს; ზოგს გზაანეულს, ჯანიოთა და ღონით სავსეს, თავისი ადგილის პოვნა გასჭირვებია, ბევრ მთგაგს მხოლოდ სიტყვა სჭირდება, მეგობრული სიტყვა, ზოგს — დახმარება. გაეჭირვებია ში ჩვენრიდნელი მოყვასის ხსნა — აი პირველი და მთავარი საზრუნავი ახალი საზოგადოებისა.

მისი მეორე ამოცანაა ხალხის (საზოგადოების ყველა წევრის) ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. თუ არ ვიზრუნეთ ინსთოვის, რომ აღეკვეთოთ მავნე ჩვეულები, აღკოპოლისადმი მიღრეკილება, თამბაქოს წევა თუ ნარკომანია, ვერ შეეძლები საზოგადოების ცხოვრების მანკიერი მხარეების ამოფიხვრის. მახინჯი ჩვეულები ზომ შეტად ამოკლებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ამ ბრძოლაში ერთ-ერთი ადგილი ეკუთვნის ფონდი მიზნად ისახავს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მეცადინეობით ნეგატიური პროცესები ჯერჯერობით მხოლოდ შეჩერდა, რადგან ჩვენ ბევრ რამეში საშფუთხარიდ, ვცდილობთ ძველი სისტემა შევუსაბამოთ ახალ მოთხოვნებს.

სსრკოფო დახმარების სამსახურს, რომელიც ელექტრომალური რეკემით მუშაობს, ახლა თვითონ სპრიდეს ასეთი დახმარება, თქვა მოსკოვის სასწრაფო დახმარების სადგურის უფროსმა ექიმმა **ო. ი. ბეხსალოვამ.** სუსტი მატერიალური აღჭურვა, წამლებითა და ინსტრუმენტებით არასაკმარისი უზრუნველყოფა, მოუმარჯვებელი ავტოტრანსპორტი, რომელშიც ფელიცინის მუშაები მრავალ საათს ატარებენ, და „ავშირგაბმულობის სიმღერა „საუბრელებს უქონლობა — ყოველივე ეს გაღონავს ახლენს მოსახლეობისათვის სასწრაფო დახმარების გაწევის ხარისხზე.

ექიმ ან უნდა, განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან კიევის გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა **ნ. ნ. ამოსოვმა,** მილიარდები, რომლებზეც მოსხენებაში იყო ლაპარაკი, ჩვენ ხელს არ შეგვაშლის. მაგრამ, მოდით, პატიოსნად გამოვუტყდეთ ჩვენს თავს, რომ ვერავითარი მილიარდები ვერ ანაზღაურებს თითოეული ექიმის კეთილსინდისიერ ზელილ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გარდაქმნაში, ვერ მოსპობს გულმოწყალისა და კეალიფიკაციის დეფიციტს, სამწუხაროდ, ჩვენი საქმის ტანგოკელი ინარეკლია. ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის

„პარადის“ შემდეგ

შარშანწინ დეკემბრის დამლევს, ახალი წლის წინა დღით მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ჩახარებისადმი მიძღვნილი ცერემონიალი გაიმართა. როგორც ახეთ შემთხვევაშია მიღებული, იყო ღიმილი, გულთბილი სიტყვები, მიღოცვები, ერთი სიტყვით, საზეიმო განწყობილება სუფევდა. ცხადია, გაფორმდა გზის ამოქმედებასთან დაკავშირებული აქტი, რომელსაც ხელს აწერდნენ მიმღები სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, ამერკაკავასიის რკინიგზის მაშინდელი უფროსი ზ. პაპავა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ამერკაკავასის რკინიგზის უფროსის მოადგილე ი. ლომძე, ამერკაკავასის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი ო. ბეჭიაშვილი, გზის რეგიონალის მოადგილე უშიშროების დარგში ვ. ნოზაძე, მძღოლი ალ. ბ. ბეგიევი, ავტოკოლონა 1-ის ავტოსატვირთავი ავტომობილის ავტოსაბურავების ბაზის ინჟინერ-ტექნიკოსი ბ. ბ. ბეგიევ-ბეგიევ-ბეგიევ-

ქ. ორჯონიკიძის ქართული სკოლა 100 წლისაა

გულითადი მადლობა

ამ დღეებში ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ქ. ორჯონიკიძის აკაკი წერეთლის სახელობის მე-19 ქართული საშუალო სკოლა აღნიშნავს თავისი ასი წლისთავის სახელოვან იუბილეს. სკოლამ, რომელიც დააარსა გამოჩენილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ ყიფიანმა ილია ჭავჭავაძის უშუალო მხარდაჭერით, დიდი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიის ქართველ მოსახლეობაში მშობლიური ენის შენარჩუნებისა და განვითარებაში, გახდა ქართული კულტურის ნამდვილი ცენტრი ამ მხარეში, სადაც ამჟამად 400-მდე მოსწავლის აღზრდას ემსახურება 30-ზე მეტი პედაგოგი.

სკოლას დიდ დახმარებას უწევს ჩვენი რესპუბლიკის მრავალი ორგანიზაცია. ამჟამად იუბილეს სკოლა მთლიანად განახლებული ხედავს. დამთავრდა ინტერნატის კაპიტალური რემონტი, ეზოში ამოქენილ-ამოსულ ბალახს ადგილი ფაფარა ბალახებმა, ეზოს ბოლოს ამოსულ ბალახებს ადგილი ... ...

ნაბიჯი უკვდავებაში

ნოდარ დუმბაძის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო თბილისში

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ იგი ჩვენ შორის იყო — ალერსიანი, გულთბილი, კეთილი, მუდამ გიჭირვეთლის ხელის გამშართავი, ნაცრისფერი და უცქინებიც უგებდნენ ან, ულბებიც უგებდნენ ან, უგებდენ ბოლომდე — მისი გმირების ბედ იმდენად იყო გადახლართული მის საკუთარ ბედთან, რომ ზმირად ეიგავებდნენ თვით მწერალთან. ზოგჯერ ყველფერი მარტივი დ ოლიი გეგონებოდა.

დრომ კი გამოაშუქა ბევრი რამ — სწორედ ეს სიმარტივე, სისადავე იყო მწერლის ქმნილებათა გენიალობა, რომელმაც მკაფიოდ და მთლიანად გვიჩვენა თავისი თაობის ბედი. სიმსუბუქე მიღწეოდა მწერლის ბუნებითი ნიჭით. ერთმანმეველვანება მოჩვენებითი იყო. ეს წლითიწლობით გამოვლინდა მის ორმად ფილოსოფიურ ნაწარმოებებში „თეთრი ბინიაღები“ და „მარადისობის კანონი“, რომლებმაც განვიგრიტეს ირსებითად, დღეკანდელი დღე, ჩვენი საზოგადოების ესოდენ დიდი ხნის ნახატი გარდაქმნა დ დემოკრატიზაცია. ბევრმა ეველთა ახალ-ახალი თაობები თავიანთოვის ადამიანენენ ნოდარ დუმბაძეს, ნოლი ბრმა ადამიანენ ნოდარ დუმბაძეს ჩვენი ლიტერატურის ნოდარ ბაბა გამორჩენ მოღიაწეებთან ერთად შორს გაიტანა თანამედროვე ქართული მწერლობის სახელი.

XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არ გვეფულება მწერალი, რომელიც ერთდროულად ყოფილიყო ისეთი ბრძენი ხელოვნის ადამიანიც, ისეთი ბედნიერი ადამიანიც, როგორიც ნოდარ დუმბაძე იყო. ხასიათის არაჩვეულებრივმა სიმტკიცემ, ურომლისოდაც ნიჭიერება ვერ გაიფურჩქნება, საშუალება მისცა მას საკუთარი ბედნიერებაც და უბედობაც თავისი შემოქმედების მასალად გამოეყენებინა და სრულყოფილ რეალიზმს ზიარებოდა.

ნოდარ დუმბაძის სხვენაყარი ბზით გაჩრილდნებული შემოქმედება ჭეშმარიტად ადამიანურობის, ხალხთა ძმერი ერთობის, კაცურ კაცობისა და კეთილშობილურობის შთაგონებული საგალობელია. სწორედ ეს არის ფესვი ნოდარ დუმბაძის სიერთოა-სახალხო დიდებისა, რომელზედაც ამოსული ხეა არასოდეს არ გაწყდებიენ და არც არასოდეს დაკნენ.

დამსწრენი გულთბილად შეხვედნენ ნ. დუმბაძის ერთ-ერთ პირველ-აღმომჩენის, ცნობილი მწერლის, ეკონომალ „ცისკრის“ მაშინდელი რედაქტორის ვ. ჭელიანის გამოსვლას. მაშინ ნაკლებად ცნობილი მწერალი ბეჭდავდა მახვილგონიერ ლეგენდებს, რომლებსაც ხელს აწერდა ფსევდონიმს „ჭვეზე დუმბაკა“. გ. ლორთქიფანიძემ მისი რომანის მიხეიდით დადგა სპექტაკლი და, როგორც მოსალოდნელი იყო, დუმბაძისეულ ზუნიკელ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველზე ცნობილი პერსონაჟი გახდა. მან ქვეყანას მოპფინა კაცობრიობის მარტივ-ულ ზნეობრივ ასპექტებზე, რუს მკითხველთა შორის მის პოპულარობაზე ილაპარაკა საღამოზე სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ, ქართველი მწერლის დიდმა მეგობარმა, პოეტმა ე. ეკიუშენკომ.

— ყმაწვილობაში განიცადა დუმბაძემ ობლობის ტკივილი, — თქვა მწერალმა რ. ინანიშვილმა. — ეს იყო განსაკუთრებული ობლობა. მაშინ, რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში დარჩა ათასობით ობოლი, მათ საკუთარი შვილებივით, გულში იკრავდა მთელი ქვეყანა. ამათ კი — „ტროიკოტა“ შვილებს — ახლობლებიც და ნათესავებიც უფრთხოდნენ. მხოლოდ მოხუცები ბედავდნენ მათზე ზრუნვას. ზუბერკელს ანუ, უფრო სწორად, თავის და უსაწყალოდ დარჩენილი, დიდის ალერსს მოკლებული ბიჭების ბედს რომ გვაღნობს, ნოდარ დუმბაძის კალამი შორს არის უიმეფობის, სასოწარკვეთილების ბერძნებისაგან და მისთვის ჩვენზე ნათელი მომავლის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენით ძერწავს ხალისიან სახეებს, რომლებიც უეცლოობლად აღწევენ თავიანთ მიზანს, ადამიანენ თავიანთ საკუთარ მარადისობის კანონებს. ამითაც განვიგრიტა ნ. დუმბაძემ დღევანდელი დღე...

როგორც დიდ და ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტს, ისე ილაპარაკა თავის მეგობარზე სოხეთის მწერალთა კავშირის გამეგობის თავმჯდომარემ რ. ოსპანესანმა.

— როგორც არავინ სხვამ, — თქვა მან, — ადამიანური სითბოთი გვიჩვენა ნ. დუმბაძემ მის გმირებთან — ქართველებთან თანამოქმედი რუსები, უკრაინელები, სომხები, ქურთები, ბერძნები, ბოშები, სხვა ეროვნებათა ადამიანები. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ძალა, ამ დიადი გრძნობების მქადაგებელი იყო და ამიტომ მისი სახელი მუდამ იკიადეს მრავალენოვან საბჭოთა ლიტერატურაში.

სოხეთ მწერლებს იგი ყოველთვის მიიჩნდათ ორი ხალხის ძმური ერთიანობის უძველესი ტრადიციების ბრწყინვალე გამაგრძელებლად. როგორც ამ ძმობის მარადიულობის სიმბოლო, მათ გადაწყვეტეს საბავშო ზღაპარ „მზიურ“-ში“ გაიყვანონ წყარო. უკვე მზად არის პროეკტი და ბაისად გაზაფხულზე თბილისში ჩამოველენ ძველი სომეხი „ულტები“, რათა თვითონი დაკოცონი ხელებით გაიყვანონ იგი მწერლის საფლავის ბახლობლად.

მან ქართველ მწერლებს საჩუქრად გადასცა ახლახან ერევანში სომხურ ენაზე გამოცემული ნ. დუმბაძის ორტომეული.

დამსწრეთ საინტერესო მოგონებანი გაუზიარა ნოდარ დუმბაძის მეგობარმა, მისი ნაწარმოების ბიგდვით სპექტაკლების პირველმა დამდგმელმა, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ. აუღელვებლად ვერ მოისმენენთ უკრაინელი და ჩეხოსლოვაკიელი მწერლების, ნ. დუმბაძის ნაწარმოებების მთარგმნელების ო. სინიჩენკოს და ვ. ჩერნის გამოსვლებს. წმინდა ქართული ენით ლაპარაკობდენ დიდ პატრიოტსა და კეთილშეკავებულ ნოდარ დუმბაძეზე, ინამზე, თუ რადგან პოპულარულია მისი შემოქმედება, რომელიც მსოფლიოს ხალხთა 50-ზე მეტ ენაზე აკეთდა.

ნ. დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით საქართველოს თეატრების სპექტაკლების ნაწყვეტებმა, მის ლექსებზე შექმნილმა სიმღერებმა, იუმორესკებმა, სამავშო ლექსებმა გაამდიდრა საიუბილეო საღამო, გაალრმავა ნ. დუმბაძის ადამიანთმიმის, მისი შემოქმედების დიდი მომავლის შეგრძნება.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატარაშვილი, გ. გ. გუშბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზიანი, ვ. მ. სირაძე. (საქინფორმი).

გზა ბედნიერებისკენ

◆ **ლენინური.** შარშანდელმა სტენოგრამა მოვლენებმა მთლიანად დაანგარია და გააფუჭა ტვიბის მარმარილოს კარიერისაკენ მიმავალი გზა, შეწყვდა ამ ქვიდაფსა ნამშენებლო ქვის მოპოვება. დიდი ზარალი მოუვიდა რაიონის ეკონომიკას.

საჭირო იყო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორება, მარმარილოს კარიერის ამოქმედება. ამ მიზნით შეიქმნა გზის აღმდგენელი ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტვიბის მარმარილოს საწარმოს საამქროს უფროსი ბ. ხავნანი.

ახლა ტვიბის მარმარილოს კარიერთან მისასვლელ გზაზე ავტოტრანსპორტი შეუფერხებლად მიმოდის.

ჯილდო 44 წლის შემდეგ

◆ **44 წლის** შემდეგ გადაეცა მედალი „ბელგიის წინააღმდეგობის წინაშე დამსახურებისათვის“ თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრის უფროს მასწავლებელს ნ. ა. ვოლკოვ-აკერენს.

ბელგიის მთავრობის სახელით ჯილდო საქართველოს სსრ ბაგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა სსრ კავშირში ბელგიის საელჩოს სრულუფლებიანმა მინისტრ-მრჩეველმა მ. ადამმა. მან აღნიშნა საბჭოთა მოქალაქის საბრძოლო დამსახურებანი, ხაზგასმით აღნიშნა, საბჭოთა არმიის როლი ფაშისტური უღლისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ფილკლორის ბენეფისი

◆ **შუახევი.** მთიან აჭარაში თაობიდან თაობას გადასცემენ სიმღერის, ცეკვის, ფოლკლორის სიყვარულს. ამის წყალობით იშვა შუახევში ეს დღესასწაული. ჩვეულებრივ მას აღნიშნავენ შემოდგომის ერთ-ერთ დღეს, როცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მოიკეკვენ. როცა შეიძლება სული ყველა კუთხიდან ჩამოსულმა მუსიკათმცოდნეებმა, აგრეთვე ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, იუგოსლავიისა და იაპონიის სპეციალისტებმა. ერთი კვირის განმავლობაში ისინი გამართავენ დასინტერესებულ სჯა-ბაასს ხალხური სიმღერის მდგომარეობის, თანამედროდ ეტაპზე მუსიკალური ფოლკლორის ნინაშე, მდგომი პრობლემების შესახებ, რომელთანაც ცოცხალი კავშირ ასაზრდოებს სწორედ თანამედროვე კულტურას.

კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა, რესპუბლიკის მუსიკოსთა საზოგადოებამ, სმელთა შუა ზღვისპირეთის კულტურათა კვლევის ლაბორატორიამ და თბილისის კონსერვატორიამ.

კონფერენციია დამთავრების ნინადღეს მისი მონაწილეები გაემგზავრებიან ვარძიაში, სადაც ანსამბლ „მთიების“ შესრულებით მოისმენენ ძველ ქართულ საგალობლებს.



რუბრიკისთვის გამოყენებულ ... ნაკვეთის, საკ. ... ინფორმაცია და „კომუნისტის“ კორესპონდენტთა ნასალები.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრობა

ფერადოვანი პალიტრა

თბილისის „მხატვრის სახლში“ გახსნილია საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მხატვრის, ლენინური პრემიის ლაურეატის ხუტა ავიძბას ნამუშევრთა პერსონალური გამოფენა. ხ. ავიძბამ 1963 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები ვ. შუხაევი, კ. სანაძე და დ. გაბაშვილი, სანტერესოა, რომ ხ. ავიძბა იყო პირველი აფხაზი, რომელმაც თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღო ნათლობა, და ასევე, იგი პირველი აფხაზი მხატვარია, თბილისში პერსონალური გამოფენა რომ მოაწყო.

ხ. ავიძბას შემოქმედება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს ერწყმის, მისთვის საზრდოობს, ექსპრესიონიზმია ოცდაათი წლის მანძილზე დიდი რეტროსპექტივით შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც გამოირჩევა ყანრული მრავალფეროვნებით. დამთვალიერებელი შეხვდება როგორც თემატურ, ისე ჟანრული ხასიათის სურათებს, პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს... მხატვრის ფერწერული ენა ქმედითად ინდივიდუალური და მეტყველია.

მხატვრის ერთ-ერთი მთავარი თემაა მშობლიური კუთხე, მისი ადამიანები, იგი სანტერესოდ გადაგვიშლის აფხაზეთის წარსულს თუ დღევანდელობას. მაგალითად: „ზეთელი კიარაზები“ (კიარაზი აფხაზური სიტყვაა და პარტიზანს ნიშნავს) — ესაა სურათი აფხაზთის ბერძენ ბერ წარსულზე. ნაწარმოების ყოველი დეტალი მხატვრული სიმარილითი გამოირჩევა. ისტორიულ თემას ეძღვნება ექსპოზიციაში წარმოდგენილი „ადეგი სამი სურათი, შრომის თემას ეხმაურება მრავალფიგურიანი კომპოზიციები: „შემოდგომა აფხაზეთში“, „მეთევზეები“ და „მოსავლის ალება“.

ექსპოზიციიდან ყურადღებას იმსახურებს ქარიული ხასიათის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „დიდი ლიხეში“, „ქორწილი სოფლად“, „ბზიფის ცხენოსნები“. „დღესასწაული სოფელში“. მონუმენტურობამდეა აყვანილი „დიდი ლიხეში“. დიდი შინაგანი ექსპრესიით ნაჩვენებია ფაროოდ გადაშლილი ლიხის გარეშო თავისი არქიტექტურული პეიზაჟით. თითოეული პერსონაჟი, — ეს იქნება ამხედრებული ჭაბუკი თუ შეჯიბრების მომლოდინე ხალხი, პროფესიული ოსტატობით არის შესრულებული.

აღსანიშნავია მრავალპლანიანი სურათი „ქორწილი სოფლად“. ამ წინა პლანზე არიან მოხუცი აფხაზები. თითოეულ მათგანში მკაფიოდ გამოარჩევი ინდივიდუალურ ხასიათს. მათი ჩაცმულობის ატრიბუტებიც საკმაო ეთნოგრაფიული სიზუსტითაა ნაჩვენები. ხუტა ავიძბა დიდი სიყვარულით გვიხატავს ყოველ პერსონაჟს. სურათი დახატულია მაკრილი კოლორიტით. არანაკლებ საყურადღებოა თითქმის ამავე პლანით გადაწყვეტილი „დღესასწაული სოფელში“, იგი თითქოს პირველი სურათის გაგრძელებაა, თითქოს იმავე ხასიათის პერსონაჟებს, იგივე საზეიმო განწყობილ ლ ე ბ ა ს ვგრძნობთ, მაგრამ აქ უფრო ღრმად არის წარმოჩენილი სურათის ქანრული ხასიათი. განსაკუთრებით გამოირჩევა ცენტრში ქალისა და შეზარხოშებული მამაკაცის ფიგურა. აფხაზური სიდარბაისლე შეინიშნება „ბზიფელ ცხენოსნებსა“ და „ომის ვეტერანთა შეხვედრაში“. ეს ნამუშევრები ყურადღებას იქცევს ასა მარტო ცხენოსნების რეალისტური გადმოცემით, არამედ მთელ გალშემო ვაშლილი ლამაზი პეიზაჟებითაც.

ექსპოზიციაში ათითოდ პორტრეტია. მხატვარმა შექმნა იმ ადამიანთა დამაჯერებელი სახეები, რომლებიც დღეხიდაგ მის ბვერდით ცხოვრობენ და თავიანთი არსებობით მხატვრის შემოქმედებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ. თავდაპირველად უნდა შევჩერდეთ „მამის პორტრეტზე“. მოხუცის გამოხედვა ზორსმჭვრეტელურია და სახის მთლიანი გამომეტყველება ძლიერ ნებისყოფაზე მიგვანიშნებს. ლირიკულ ასპექტშია გადაწყვეტილი „ბეულის პორტრეტი“. „ავტოპორტრეტში“ მხატვრის პლასტიკური ენა რამდენადმე სადაა. ორანაკელ სანტერესოა ამხედრებული აფხაზეთის სახალხო გმირის ხოჯარატ კიაბის პორტრეტი. სურათი შესრულებულია კეთილსინდისიერად, ზედმიწევნით კარგადაა დამუშავებული ყველა დეტალი, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს მხატვრის პროფესიულ ოსტატობას. მაყურებლის თვალს არ გამოვპარება დიდი მოწიწებით შესრულებული აფხაზეთის ცნობილი პოეტის დიმიტრი გულიას პორტრეტი, რომელიც მრავალფიგურიან კომპოზიციაც აქვს წარმოდგენილი ავტორს. კომპოზიციის გადაწყვეტის სისადავე, ფერების საოცარი შეხამება, თითოეული ფიგურის თავისთავადობა ნაწარმოებს მაყურებლისთვის ადვილად აღსაქმელს ხდის. ექსპოზიციაში უხვად არის პეიზაჟები, ნატურმორტები, თითოეულ ნამუშევარში ვგრძნობთ მხატვრის პოეტურ სულს, ლირიკულ განწყობილებას.

ნიჭიერი აფხაზი მხატვრის ხუტა ავიძბას ნაწარმოებებს ინტერესით ეცნობიან თბილისელები.

ნაზი ელიავეილი.

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები: „ქორწილი სოფლად“ და „დიდი ლიხეში“.

სურათზე: ზეიმი თეატრონზე. **საქინფორმის ფოტო.**

სახალხო დღესასწაულებზე

მცხეთობა

ყველა ხალხს აქვს თავისი წმიდათაწმიდა, რომელსაც თაყვანს სცემს და ხოტბას ასხამს. ჩვენთვის ასეთი წმიდათაწმიდაა მცხეთობა. მცხეთა მარტო ქალაქ-მუზეუმი როდი, სადაც ხუროთმოძღვრების დაახლოებით ასი დიდი თუ პატარა უნიკალური ძეგლია. ეს არის ქართველი ხალხის ისტორია. ი რატომ იყო, რომ გასულ კვირას ბებრისციხეზესთან გამართულმა თეატრონმა ვერ დიიტია ყველა მსურველი.

მცხეთოთაზე მოვიდნენ არა მარტო ქალაქის მცხოვრებნი, არამედ თბილისელებიც, რესპუბლიკის მრავალი რაიონის წარმომადგენლები.

... მცხეთა გიპყრობს და გზიბლავს. ბოლოვარკის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ნესებრის მუზეუმის დირექტორმა ჟანა ჩიბუღუეავამ, რომელიც აქ ამ დღეებში იყო, შემოხვედით როდი თქვა: „მცხეთაზე ჩემი შთაბეჭდილებები — ეს სიყვარულის ახსნაა“. ახლა ქალაქ-მუზეუმების მცხეთისა და ნესებრის არქეოლოგიური, ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობითი გამოკვლევები წარმართავა მჭიდრო კონტაქტით. სვეტიცხოვლისა და ჯვრის, სამთავროსა და ბებრისციხის, წმინდა ნინოს ბაზილიკისა და არმაზის მონასტრის, სხვა ძეგლების შესწავლა ჩვენი წინაპრების ცხოვრებისა და კულტურის კიდევ ბევრ უნიკალურ ფურცელს გაუშუქებს.

მაგრამ მხოლოდ წარსულით რომია მცხეთა სახელგანთქმული. მის დღევანდელობაზე ლაპარაკობდნენ დიდისსწაულზე ორატორები და სტუმრები. მცხეთის რაიონის მეხილეებმა და მებოსტნეებმა წლეულს უხვი მოსავალი მოიწიეს. ახლა ყველფერი მზად არის რთველისათვის, ჯერჯერობით კი ყურძნის ქარვისფერი მტევნების ლამაზი კალთებით მოირთო თეატრონის სასცენო მოედანი. აქ არის შემოდგომის ბარაქით სავსე ურემიც, სამინდოის ტარიები, ვაშლის, მსხლის და კაკლის რტოები, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ დოვლათსა და ხვავს. თეატრონს ნარმენი გზგზაზეს კოცონები, ჰაერში ტრაილების ქართული და დიდას პერის ორომატი, რომელსაც აქვე თონენი აცხობენ.

მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლები ერთმანეთს ცვლიან სასცენო მოედანზე, ჩვენ კი ინტერვიუს ვართმევთ დღესასწაულის მონაწილეებს: — საბოლოოთ წელს გადავცილდი, — თქვა პელაგია მამულაშვილმა, ცხონილი ჯადოქარი მეგაილის მიხეილ მამულაშვილის ქალაშვილმა. — დღესასწაული მეცხრედ ეწყობა. წლითიწლობით იგი სულ უფრო უკეთესი ხდება, იმიტომ, რომ ცხოვრება უჯრედნელდება. მე მამის სალმე განვაგრძე, ჩემს საქმეს განაგრძობენ შვილიშვილები — ეს არის ცხოვრების დედაბაზრი.

— მცხეთობისათვის ჩემი საჩუქარი ის არის, რომ ჩვენმა კოოპერატივმა „მუხრანის ველმა“ მიიღო მილიონი მანეთი წმინდა მოგება, — თქვა მისმა წარმომადგენელმა ზვიად ტატიშვილმა. — თბილისში ჩვენმა საფირმო მაღაზიამ ბევრ პოპულარობა ბოლოვა. ახლა ვოცნებობთ საკუთარი მაღაზია გავხსნათ მოსკოვში. ჯერჯერობით კი იქ მუხრანელი ბარაქით დატვირთულ მანქანას ვგზავნით.

მაგრამ დღესასწაული რა დღესასწაულია უკრძნელიდ. და მცხეთელებმა ნანა ბოკვაშვილმა და კახა კოზმანაშვილმა ერთმანეთს დაუკავშრეს თავიანთი ბედი, რაცა კიდევ ერთი მტკიცე ოჯახი შექმნან.



საქინფორმის ფოტო.

ჰერეთობა

ეების, ერთი სიტყვით სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. და ეს იმ წელს, როცა უამინდობამ თავისი ვერაგობის მაქსიმუმს მიაღწია. მით უმეტეს მნიშვნელოვანია სოფლელთა წვლილი, რომლებმაც სადაგ დღეებში დაამტკიცეს, რომ უნარიანი ორგანიზებული შრომის, გამოცდილების წინაშე უამინდობაც უკან იხევს და გაწეულ გარჯის მიწა ასკეცად აუნაზღაურებს შრომელს.

ის-ის იყო კოლონამ დატოვა სტადიონი, რომ იმპროვიზებული ესტრადიდან გასმა გარმონის აკორდები და დიალიპატო. ქართველ ცეკვას ცვლის რუსული, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური, სომხური ცეკვები. ამასთან ერთად ... ინტერნაციონალური რაიონის ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

კონცერტი გრძელდება, ბილიკზე კი მოჭრიან მოტოციკლები, რომლებზეც აფმართულია სსრ კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკის ფრაზა. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგონები და ბიჭუნები მიესალმებიან მრავალრიცხოვან მაყურებლებს, საქართველოსა და აზერბაიჯანის მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ერთი დღის შემდეგ რაიონის მშრომელებმა აღნიშნეს დიდი ოსი პოეტის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის კოსტა ხეთაგუროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

(საქინფორმი).

თავგანწირვა

ჰიათურა. ჩვენს მკითხველს კარგად ახსოვს ჭიათურელი ჭაბუკის, ჯარისკაც ევგენი ნუგზარის ძე სამხარაძის მიერ სასწავლო საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობა, რიცა სერჟანტი ვ. ზვიქვეანი დაარჩინა დაბინძრობას, თვითონ კი ძლიერმა მოვეგა ჩაითრა, საიდანაც ამოსვლა ვეღარ შეძლო....

ტრაგიკული შედეგი, — აღნიშნავდა 1988 წლის 15 სექტემბრის ნომერში გაზეთი „ერასნაია ზვეზდა“, მაგრამ კვლავ და კვლავ ვიმეორებთ, რომ სამბრძოლო მეგობრობის, ურთიერთდახმარების საფუძველზე, ამხანაგის გადარჩენისათვის კრიზისულ წუთებში საკუთარი სიცოცხლის შეწირვა, იყო და დარჩება სამხედრო ძმა ადამიანის მოქმედების მთავარ ხასიათად. ამ პრინციპების ერთგული დარჩა ბოლომდე ქალაქ ჭიათურის მკვიდრი ევგენ სამხარაძე“.

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საბრძოლო დავალების შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გაბედულებისათვის რიგითი ევგენი ნუგზარის ძე სამხარაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოდად წოდეი ვარსკვლავის ორდენით. **(საკ. კორ.).**

ჰერეთობა

სპორტის ამბები

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

სერიოზული გამომცდელი

ალმა-ათის ასკ თბილისის „დინამოსათვის“ სერიოზული გამომცდელი გამოდგა. ჩვენმა სტუმრებმა დიდი მონდომებით ითამაშეს განმეორებით შეხვედრაში და დამაჯერებელი რეგანშიც აიღეს — 105:94. ამ გუნდის ზედიზედ ორჯერ დამარცხება ოღონ რომ არ იქნებოდა, ამაში, ალბათ, არავის ეპარებოდა ეჭვი. მით უმეტეს, სასტარტო ბატრის შემდეგ, რომელშიც დინამოელები მეტწილად მდევრის როლში იყვნენ და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს დაწინაურება. ეს უკვე ინგარიშგასაწევი სიგნალი იყო, იმის მაუწყებელი, რომ მორიგი შეხვედრა უფრო ძნელი და დამაბეზარ იქნებოდა. კალათბურთში, ისევე როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, საკუთარი მოედნის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ აჭარბებ ძალებს ვერც გულმოდგინეთ აქტიურმა მხარდაჭერამ უშველა და ვერც ეპიზოდურმა „აფეთქებებმა“.

ალმაათელები თავიდანვე დაწინაურდნენ და ტაიმი ათქულიანი უპირატესობით მოიგეს — 57:47. ეთი ქულ საკმაოდ სოლიდური ფორსა, მაგრამ, ცხადია, საბოლოო გამარჯვების გარანტიას არ იძლევა. საფიქრებელი იყო, რომ შეცვლების შემდეგ დინამოელები აქტიურად ითამაშებენენ და ხელთ აიღებდნენ თამაშის სადავეებს. ჩვენს გუნდს უფრო კრიტიკული სიტუაციიდანაც ეროერთხელ დაუღწევია თავი. მაგრამ ამჯერად პირიქით მოხდა: სტუმრები კიდევ უფრო დაწინაურდნენ და ერთ მინერგზეთ სხვაობამ 17 ქულას მიაღწია (72:50). მიეხვდავად ამისა, მატჩის გადარჩენის შანსი მაინც გაჩნდა — დარსაძისა და სანაძის ზუსტი ზორეული ტყორცნების შედეგ ანგარიშში სხვაობა აქვს ქულამდე შემცირდა. სამწუხაროდ, ეს ხელსაყრელი მომენტი გამოუყენებელი დარჩა — დაცვაში „დინამო“ აშკარად უყურადღებოდ თამაშობდა. ირმიელთა ლიდერის — ვალერი ტიხონენკოს მჭიდრო მეურვეობამ ხელ-ფეხი გაუხსნა მეტოქის სხვა მთამაშეებს, უწინარესად, ეუკანენკოს, რომელმაც ამ მატჩში ყველაზე მეტი — 34 ქულა მოაგროვა. უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში ხუთი ჯარიმა მიიღო და ბრძოლას გამოეთშა დინამოელთა ცენტრალური თავდასხმელი კრობაჩოვი, მოგვიანებით — შენგელაია. ორ თქმა უნდა, ეს დიდი დანაკლისი იყო. შეხვედრის მიწურულს დინამოელებმა ისევ სამქულიანი ტყორცნებით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. მაგრამ ამჯერად ამ ტაქტიკამ არ გაამართლა.

ერთი სიტყვით, ამ მატჩმა უსიამოვნო გრძნობაც დაგვიტოვა და საფიქრალიც, თბილისელი კალათბურთელები და მათი მწვრთნელები, იმედია, გაითვალისწინებენ სტარტზე თავიანთ ხარვეზებს.

აქვე გავგაცნობთ ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის შედეგს: ტალინის „ალვეგი“ — მოსკოვის „დინამო“ — 94:95, ვილნიუსის „სტატიბა“ — რიგის ეიფი — 114:79, კიევის „სტროიტელი“ — დონეცკის „შახტიორი“ — 102:76.

ე. ვახანია.

ქალთა საკავშირო პირველობაზე

ალმა-ათაში, ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე ბოლო ტურებში დამუხრუჭდა. გათამაშების ლიდერი დიმინა (ნოვოსიბირსკი). მეშვიდე ტურის შეხვედრა გეორგელთან მან ყაიმით დამთავრა. მეოთხეში კი პირველი დამარცხება იგემა მსოფლიო ექსჩემპიონთან ბოგორესს შორის, ალმა-ათელ უსკოვასთან. რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა ალეკსანდროვამ, რომელიც ჯერ ყაიმზე შეუთანხმდა შერმეტიევას (ციშინოვი), შემდეგ კი მოუგო მელაშვილს.

მეცხრე ტურში დიმინამ ქალაქ შეძლო მოგება ე. სახატოვასთან, ახლა მას 7 ქულა აქვს და კვლავ ლიდერობს. 6,5 ქულით მეორე ადგილზეა ჩელუმკინა (ლვოვი), გეორგელ 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, კახიანს — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. სპრინტი ადგილების დანარჩენი პრეტენდენტების მდგომარეობას გადადებული პარტიების დამთავრება გამოარკვევს.

ყურადღება!

ცენტრალურ კავშირთან შექმნილია წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივების რესპუბლიკური კავშირი, რომლის ძირითადი ამოცანებია:

კოოპერაციული დემოკრატიის გამვითარება, კოპერატივების საქმიანობის კოორდინაცია, მათი უფლებების და ინტერესების დაცვა სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, მათთვის დახმარების გაწევა მატერიალურ-ტექნიკური საკონსულო მომარაგების, პროდუქციის წარმოების, რეალიზაციის, რეკლამისა და სხვა საკითხების მოგვარებაში.

კავშირის მხრივ კოოპერატივებისადმი რაიმე ადმინისტრირება დაუშვებელია.

რესპუბლიკურ კავშირში გაერთიანების მსურველ კოოპერატივებს, მიუხედავად მათი პროფილის, ადგილმდებარეობის და უწყებრიობისა, შეუძლიათ განცხადები მიმართონ რესპუბლიკური კავშირის პრეზიდიუმს. თბილისი, ლენინის მოედანი, № 7.

ცენტრალური კავშირის გამგეობა.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14
ტელეფონები:
მისაღები — 93-95-54,
მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

საკორესპონდენტო პუნქტები:
სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი — 2-28-40; ტყიბული — 25-82; თელავი — 3-12-09; ბახარაძე—6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; სიღნაღი — 3-20-77 ახალციხე — 2-03-15.

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.25 — ფიზიკოგი პოლიტიკურ თეატრზე (განმეორებით). 13.00 — „ნაშუადღევის“. 13.50 — ახალტურიენტთათვის. ქიმია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 14.45 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ფიჭვი, კოსმოსი და კომპიუტერი“. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — შევიისწავლოთ ინგლისური ენა. 16.15 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენცია“. 17.05 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი „მეგობრების გამოცდილება“ (დაღესტნის ტელევიზიის პროგრამა). 17.35 — გარდაქმნის წახნაგები. „ფერომონები ცვლიან შხამქიმიკატებს“. 18.20 — „შენ იდ ღეგრძელე, ქართული ენავ!“ ქართველები ჩრდილოეთ ოსეთში (განმეორებით). 19.05—დოკუმენტური ფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“ (საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდიის „მემატიანის“ ნაწარმოები). 20.00 — მოამბე. 20.35 — „მუსიკის სამყაროში“. 21.50 — „დედოფლის გვირგვინისათვის“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — ნ. დუმბაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

მეორე პროგრამა. 17.25 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 17.35 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 18.05 — ფილმსპექტაკლი „მოხუცი“. I ნაწილი. 19.15 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია. 20.00 — მოამბე. 20.35 — ფილმსპექტაკლი — „მოხუცი“. II ნაწილი.

მოსკოვი